ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კახა მამულაშვილის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს ანგარიშს საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ის მოიცავს 2022 წლის სამუშაო პერიოდს.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვიყავი ქ. ახმეტის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, არჩევნების შედეგად გავხდი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. საანგარიშო პერიოდში ვიყავი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ასევე იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი.

მონაწილეობა მივიღე 2022 წელს ჩატარებულ ყველა საკრებულოს სხდომაში, ასევე ყველა ბიუროს სხდომაში მაქვს მიღებული მონაწილეობა, ჩატარებული მაქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 4 სხდომა.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე.

პერიოდულად შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან(მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ასევე უშუალოს ქალაქ ახმეტაში, ვისმენდი მათ პრობლემებს და მაქსიმალურად ვცდილობდი მათი პრობლემების მოგვარებას.

მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე რომლებიც ქ. ახმეტაში განხორციელდა ანდა ამჟამადაც მიმდინარეობს, როგორც საქართველოს მთავრობის ისე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ეს პროექტებია:

რეგ. პროექტები 2022 წელი

1. ქ. ახმეტაში ნინოშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 226 156 ლარი -- დასრულებული
2. ქ.ახმეტაში შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაცია - 551 020 ლარი - დასრულებული
3. ქ.ახმეტაში ანდრონიკაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 225 167 ლარი -- მიმდინარე
4. ქ.ახმეტაში სააკაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 235 593 ლარი - მიმდინარე
5. ქ.ახმეტაში ფიროსმანის I ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 129 214 ლარი - დასრულებული
6. ქ.ახმეტაში ყაზბეგის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია - 217 621 ლარი - მიმდინარე

7. ქ.ახმეტაში ჭავჭავაძის I ჩიხის რეაბილიტაცია - 74 139 ლარი - მიმდინარე
8. ქ.ახმეტაში კახეთის ქუჩის რეაბილიტაცია - 415 682 ლარი - მიმდინარე
9. ქ.ახმეტაში ლეონიძის ქუჩის I შესახვევისა და ჩიხის საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა - 50660 ლარი --მიმდინარე
10. ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩის ტროტუარის მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - 622 176 ლარი - მიმდინარე
11. ქ.ახმეტაში შატილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 127 288ლარი - მიმდინარე

ადგილობრივი პროექტები - 2022 წელი

1. ქ.ახმეტაში, ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები - 20,708 ლარი - დასრულებული
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ოთახებისა და კიბის უჯრედის რეაბილიტაციის სამუშაოები - 21,067,42 ლარი - დასრულებული
3. ქ.ახმეტაში ადმინისტრაციული შენობის კორიდორის რეაბილიტაციის სამუშაოები - 29,325 ლარი - დასრულებული
4. ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე დამცავი ღობის მოწყობის სამუშაოები - 21,081 ლარი - დასრულებული.
5. ქ.ახმეტაში მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 38938,82 - ლარი -- დასრულებული
6. ქ.ახმეტაში, ინტერნატის მიმდებარედ გაგარინისა და ბახტრიონის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები -- 98,889 - ლარი-- დასრულებული
7. ქ.ახმეტაში შიდა საუბნო გზების სამუშაოები და ორმოული შეკეთეთება(გამსახურდიას ჩიხი) - 74,720 ლარი -- მიმდინარე
8. ქ.ახმეტაში არსებული ხიდიდან მდინარე ალაზნის კალაპოტის ამოწმენდითი სამუშაოები - 16,826 ლარი - დასრულებული
9. ქ.ახმეტის #5 საბავშვო ბაღის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცი - 81,930 ლარი - დასრულებული
10. ქ.ახმეტაში ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია - 63,094 ლარი - დასრულებული
11. 60 ბინიანთან ღია სპორტული სავარჯიშოების მოწყობა - 29,184 ლარი - დასრულებული.
12. ქ.ახმეტაში ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 43,506 ლარი - დასრულებული

ევრო კავშირის დაფინანსებით

1. ქ. ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა -- 445 004 ლარი -- მიმდინარე

Kakha Mamulashvili

Digitally signed by Kakha Mamulashvili
Date: 2022.11.09 11:31:58 +04'00'